,,მშვიდობასა შეუდეგით ყოველთა თანა"
(ებრ.12:14)
18.10.2020

,,მოიპოვე სიმშვიდე შენს სულში, და შენს გარშემო ათასები გადარჩებიან"
(წმ.სერაფიმე საროველი)

ღირსი სერაფიმე საროველის ეს დიდი სიტყვები გვახსენებს ჩვენ, რაზეც ვსაუბრობდით წინა ქადაგებებზე როდესაც მორწმუნე ადამიანი ჯერ სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებს თავის გულში, მაშინ ეს შესძლებს დაეხმაროს ბევრ ადამიანსაც მოიპოვონ საკუთარი თავის სიმშვიდე. როგორც ჩვენ ყველამ ვიცით, მსოფლიოში, რომელიც სხვადასხვა პრობლემებს განიცდის, ერთადერთი არსებული იმედი, ეს-იმედია მოიპოვოს სულიერი სიმშვიდე ქრისტეში, ,,მსოფლიო მბრძანებელში. ეს იმედი ითვალისწინებს ყოფნას იმათ გვერდზე, ვინც მოიპოვა სიმშვიდე უფალთან შერწყმით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ თავის ნეტარებაში (მათე 5:3-21) უფალმა შეიყვანა იმ ცხრა ნეტარებაში ადამიანები, რომელთაც უწოდა ,,ნეტარნი" (ანუ აღვსილი სიხარულითა და ბედნიერებით), ისინიც, ვისაც მოაქვს სინშვიდე სხვებისთვის: ,,ნეტარ იყვნენ მშვიდობის-მყოფელნი, რამეთუ იგონი ძედ ღმრთისად იწოდნენ" (9 ნეტ.).

ჩვენ უნდა დავიწყოთ იმ ფაქტის აღთქმა რომ მშვიდობით ცხოვრება სხვა ადამიანებთან ერთად არაა ადვილი. ეს უფრო თვალნათელი ხდება, როცა ჩვენ გვესმის, რომ მეუღლები, ძმები და დები, ნათესავები, მეგობრები, თანამშრომლები, მეზობლები, თანამოქალაქენი და სხვა და სხვა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანები შეიძლება უცხოები გახდნენ. ჩვენ ვიცით ასეთი შემთხვევები ყოველდღიურ ცხოვრებაში, როდესაც ადამიანები ოჯახებში ან საზოგადოებაში ზურგს აქცევენ ერთმანეთს.

რა არის მიზეზი იმისა, რომ მშვიდობისა და თანხმობის არ ქონა აიძულებენ ადამიანებს განშორებისაკენ? წმ. იაკობი, იესოს ძმა, თავის მიმართვაში ამ კითხვას აყენებს და პასუხობს: ვინა არიან ბრძოლანი და ლაღვანი თქუენ შორის? ანუ არა მიერვე გულს თქუმათაგან თქუენთა, რომელნი განწყობილ არიან ასოთა შინა თქუენთა?= (იაკობ. 4:1). მიზეზი-ეს ადამიანური ვნებებია. ეს ვნებებია, რომლებიც, შევლენ რა ვინმეს გულში, ურღვევენ მშვიდობას ამ ადამიანს და გარშემომყოფებს სიმშვიდეს. ჩვენ უეჭველად შეგვიმჩნევია საკუთარი გამოცდილებით ეს მოვლენა, თუ ადამიანი გრძნობს, რომ მისი ეგო შეურაცხყოფილია წარმოთქმული სიტყვით, ან ფიქრობს, რომ ვინმე იყენებს მას ან ამცირებს, მაშინ მან თავისუფლად შეუძლია გადაწყვიტოს, რომ არ ჰქონდეს ამ ადამიანთან არაფერი საერთო, რომელიც, მისი აზრით, ამ პასუხისმგებლობას იღებს თავის თავზე როგორც ჩვენ ვიცით, შორი არის მთავარი პრობლემა, რომელიც ქმნის ძლერ უთანხმოებას ადამიანურ ურთიერთობებში. სამწუხაროა, რომ მცირე უმნიშვნელოვანი მიზეზების გამო, ჩვენ ვკარგავთ იმ ძვირფას მადლს, როგორიცაა მშვიდობა!

ამასთან დაკავშირებითიბადება კითხვა: როცა ვინმე ვნებების ტყვეობაშია,როგორ უნდა ვიქონიო მასთან მშვიდობიანი ურთიერთობა?

უნდა ვაღიაროთ, რომ უბრალო პასუხები არ არსებობს. ჩვენ ძალებს არ ძალუძთ შევცვალოთ სხვისი ქცევები, თუ ადამიანს თავად არ სურს შეცვლა. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს თავზე, და ჩვენი საკუთარი ქცევა შეიძლება შევცვალოთ, თუ მოვაქცევთ მისი მადლით ღვთის ნების ქვეშ, მიუხედავად ამისა, არის ის რაღაც, რომელიც შეგვიძლია გავაკეთოთ სხვისი გულისთვის. პირველი, რაც შეიძლება გავაკეთოთ (როცა ვამჩნევთ, რომ ვიღაცა გვიშორებს)- ესაა დავუფიქრდეთ ჩვენს მოქმედებებს იყო რამე, რაც გავაკეთე ან ვთქვი, რამაც აიძულა ეს ადამიანი ასე მოქცეულიყო ჩემს მიმართ? თუ პასუხი დადებითია, მაშინ გულწფელად უნდა ვითხოვოთ პატიება და ავუნაზღაუროთ ნებისმიერი ტკივილი, რომელიც შეგვეძლო მიგვეყენებინა ჩვენი ნებით ან უყურადღებობით. მოციქული პავლე ასეთ პასუხს გვაძლევს: ,,უკუეთუ შესაძლებელ არს თქუენ მიერ, ყოველთა კაცთა თანა მშვიდობასა ჰყოფდით" (რომ. 12:18). თუ ეს სერიოზული პრობლემაა, მოდით ყველაფერი ვიღონოთ (ლოცვით, მორჩილებით, მოთმენით),რათა ვეცადოთ აღვადგინოთ მშვიდობა, და თუ ეს მოითხოვს ზოგიერთ მსხვერპლსაც ჩვენი მხრიდან. უფლის სიტყვა და გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ეს მოგვიტანს ბევრ უფლის კურთხევას. არიან ადამიანები, რომლებიც მშვიდობის გამო დაითმინეს უსამართლობა სხვების მხრიდან, რის შედეგადაც ღმერთმა დაჯილდოვა ისინი სხვადასხვანაირად. ჩვენთვის აგრეთვე ცნობილია შემთხვევები, როდესაც ადამიანები წლები იტანჯებოდნენ უმოწყალო და არა ადამიანური ცქევებისაგან თავიანთი მეუღლეებისაგან. ღვთის წყალობით ოჯახი შენარჩუნებული იყო და სასტიკი მეუღლე ცვლდა თავის გცევას. ამის შედეგი იყო დიდი ხნის, მშვიდობიანი, ბედნიერი და ჰარმონიული ცხოვრება.

რა მოხდება, თუ სხვა ადამიანი არ არის მზად მიიღოს ჩვენი სამშვიდობო წინადადება? ამ შემთხვევაში უფალი გვეუბნევა ჩვენ: ,,მიიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი" (მათე 18:16) და კვლავ ეცადე. თუ ადამიანი არ გისმენს და არც სხვას არ უსმენს მაგრამ ეკლესიის მრევლია და ჰყავს სულიერი მოძღვარი, სთხოვეთ მოძღვარს გვიშუამავლოს, რათა ეს ადამიანი გათავისუფლდეს მტრობისაგან, რომელსაც თქვენს მიმართ განიცდის. სხვაგვარად რომ თქვათ, მოდით ყველაფერი ვიღონოთ, რომ დავამყაროთ მშვიდობა საკუთარ თავთან და სხვა ადამიანთან შორის. თუ, მიუხედავად ჩვენი ყოველნაირი მცდელობისა, ადამიანი აცხადებს, რომ არსურს რამე საერთო ჰქონდეს ჩვენთან, მაშინ ერთადერთი, რაც შეგვიძლია ვქნათ- ეს მხურვალედ ვილოცოთ მის სულის გადასარჩენად და ყველა დანარჩენებისათვის, რაშიც უფალმა შეუძლია გაგვათვითცნობიეროს ყველა მთავარია: ჩვენ ეს უნდა ვაკეთოთ არანაირი მტრობით ამ ადამიანთა დაკავშირებით, არამედ ვიმოქმედოთ მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარულით.

რა თქმა უნდა, ასეთი სერიოზული თემა არ შეიძლება განხილული იყოს მთლიანად განსაზღვრულ სივრცეში და ქადაგებების დროში. ის, რაც ჩვენ ვთქვით, არის საერთო მიდგომა ადამიანთა შორის მშვიდობის საკითხში, რომელიც გვიჩვენებს ჩვენ სწორ მიმართულებას. ნების მიერ შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვეცადოთ

მხარი დაუჭიროთ ჩვენს მშვიდობას ღმერთთან, საკუთარ თავთან მშვიდობას, მშვიდობიან დამოკიდებულებაში ვიყოთ სხვა ადამიანებთან განსაკუთრებით ეს ეხება ჩვენს ნათესავებს და მეგობრებს.

თუ ჩვენ ჩვენს ძალებს მივმართავთ მშვიდობის მხარდასაჭერად აგრეთვე სხვა ადამიანების მიმართ, რომლებიც, როგორც ვიცით, არიან კომფლიქტში ერთმანეთთან, მაშინ, როგორც უფალმა თქვა, ჩვენ ვიქნებით ღირსნი უმაღლესი წყალობისა ვიწოდებოდეთ ,,ძედ ღმრთისად" (მათე 5:9). მოიპოვეთ მშვიდობა ჩვენს გულებში და მოიპოვეთ მშვიდობიანი ურთიერთობა ყველასთან იმსახურებს ნებისმიერი გამოცდას, ნებისმიერ ბრძოლას და ნებისმიერ მსხვერპლს. მაშინ ღირსნი გავხდებით ვიხილოთ ღვთიური ჩვენება და სიხარულით დავმკვიდრდებით საუკუნოდ მასთან. ამინ.